განკარგულება:**გ-49. 49260283**
თარიღი:**28/01/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადასახდების დასაფინანსებლად იქმნება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 100,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 88,4 ათასი ლარი, ხოლო გაიხარჯა 78,6 ათასი ლარი, მათ შორის:

№	თარიღი	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
1	15.04.2025	48. 482510513	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან რომან დგებუაძისათვის თანხის გამოყოფა	12000	12000
2	06.06.2025	48.48251578	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მელანია ტყეშელაშვილისათვის თანხის გამოყოფა	2300	2300
3	22.09.2025	48. 48252652	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ძლერი ქარისა და წვიმის შედეგად, დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	39058	29322
4	23/12/2025	48.482535738	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა	35000	35000
სულ თანხა:				88358	78622